ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი **2012 წლის 17 იანვარი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. კარტოზია გიორგი 5. მესხორაძე გიორგი 6. ჩაბაკური გიორგი 7. ელიაშვილი მერაბი 8. თუთბერიძე ბეჟანი 9. ომანაძე რონალდი 10. ხაჩიძე მანანა 11. გუბაძე ვასილი 12. ჭლიკაძე გივი 13. კახიანი გიორგი 14. კვერენჩხილაძე გიორგი 15. ბენდელიანი ბექა 16. ჭალიძე ივერი 17. გალდავა გიორგი 18. თურქიაშვილი შორენა 19. მაცაბერიძე მალხაზი 20. შამილიშვილი მანანა 21. წერეთელი მარი 22. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 23. ჩოხელი ლევანი 24. ბარამიძე ცირა 25. ბახტაძე მიხეილი 26. გელოვანი ნანი 27. ლიჩელი ვახტანგი 28. ლორია კახაბერი 29. ახლოური ბექა 30. ზივზივაძე ვახტანგი 31. ჯღამაძე უჩა 32. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. დავითაშვილი ზურაბი 5. გერსამია მარიამი 6. შენგელაია ალექსანდრე 7. ნადარაია ელიზბარი 8. სურგულაძე ნუგზარი 9. გველესიანი რევაზი 10. მარშავა ქეთევანი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება.

2. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების დამტკიცება.

3. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო რეგენტთა საბჭოს კორესპონდენცია, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს წარედგინა ბატონი დავით ჩომახიძის კანდიდატურა. სპიკერმა საბჭოს შეახსენა, რომ ბატონი დავითი აღნიშნულ თანამდებობაზე 2010 წლის შემოდგომიდან მუშაობს და იგი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ფარული კენჭისყრით, ერთხმად იყო არჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ვახტანგ ლიჩელმა, ბეჟან თუთბერიძემ, ინეზა გაგნიძემ და ცირა ბარამიძემ აღნიშნეს დავით ჩომახიძის დამსახურება და ის კვალიფიციური მუშაობა, რომელიც ადმინისტრაციამ 2011 წლის მანძილზე გასწია.

რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა დადებითი რეკომენდაცია მისცა დავით ჩომახიძის კანდიდატურას და მადლობა გადაუხადა მას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქნას დავით ჩომახიძე.

2. თსუ–ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ–ის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებები. წარმოდგენილი იქნა წინადადება, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის „საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრის“ ნაცვლად უნდა შეიქმნას „საინფორმაციო ტეგნოლოგიების უზრუნველყოფის და ოპერაციების

მართვის დეპარტამენტი“, რომელიც მრავალფუნქციური იქნება, ოპერატიულად განახორციელებს მასზე დაკისრებულ უფლება–მოვალეობებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს მანანა ხაჩიძემ და გიორგი გალდავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილებები თსუ–ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში: 1. გაუქმდეს „საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრი“. 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის გადაყვეტილებით დამტკიცებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მოქმედი დებულება 3. შეიქმნას „საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი“.

3. თსუ–ს რექტორის მრჩეველმა, ბატონმა ზურაბ ჯიქიამ წარმოადგინა საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის დებულება და აღნიშნა, რომ დეპარტამენტის ფუნქცია არ იქნება მხოლოდ ტექნიკური მომსახურების გაწევა, დეპარტამენტში იქნება 3 განყოფილება, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს განახორციელებენ, მათ შორის, პროგრამულ და სისტემურ უზრუნველყოფას. ამგვარი სტრუქტურა განაპირობებს დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობასა და მაღალ ხარისხს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 32

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის დებულება. (დანართი 3)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს

სამდივნოს (აპარატის) უფროსი: დ. გეგენავა

დანართი 1

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2012 წლის 17 იანვარი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი

- ჯღამაძე უჩა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2012 წლის 17 იანვარი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1. დანართი 3.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლის 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის და ოპერაციების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - ,,დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოებისა და პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

1. უნივერსიტეტის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, გაშლა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს აპარატულ უზრუნველყოფას (სერვერული, ქსელური და ხმის/ვიდეოს გადაცემის აპარატურა), პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამის სერვისებს.
2. სასწავლო-სამეცნიერო, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ისტ მხარდაჭერა,რაც მოიცავს ჩამოთვლილი კომპონენტების ნებისმიერ ასპექტს, რომლის რეალიზაციისთვისაც ისტ წარმატების

ძირითად ფაქტორს წარმოადგენს (საინფორმაციო სისტემები, ცალკეული პროგრამული ან აპარატული უზრუნველყოფა, ისტ სერვისები და სხვა).

3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტ მხარდაჭერა, რაც მოიცავს სპეციალური საბიბლიოთეკო საინფორმაციო სისტემების მხარდაჭერას აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფის და ისტ სერვისების მიმართულებით.

4. ისტ ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობა, ისტ–სთან დაკავშირებული შესყიდვების პროცესის მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მოთხოვნების და სპეციფიკაციების ჩამოყალიბებას, შეძენის ვადების განსაზღვრას და შეძენილი აპარატურის ექსპერტიზას.

5. ისტ–ს პოლიტიკისა და განვითარების სტრატეგიის ფორმირება საუნივერსიტეტო მასშტაბით, რაც გულისხმობს ისტ–ს როლის განსაზღვრას უნივერსიტეტის საქმიანობის ერთიან ჩარჩოში და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფას ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიის მუდმივ ცვილებებთან.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტი შედგება სამი განყოფილებისაგან:

ა) ოპერაციების განყოფილება;

ბ) სისტემების განყოფილება;

გ) ანალიტიკური განყოფილება.

3. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორის რეკომენდაციით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელძღვანელი.

4. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის ანალიტიკური განყოფილების უფროსი.

6. დეპარტამენტის განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა), განყოფილებას ხელმძღვანელობს უშუალოდ დეპარტამენტის უფროსი ან განყოფილების უფროსის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული განყოფილების ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი.

7. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის განყოფილებებსა და თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
გ) წარმოადგენს დეპარტამენტს, დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;
ვ) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული ყოველწლიური საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
კ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის განყოფილებებისა და თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ლ) შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
მ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დეპარტამენტის განყოფილების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, დეპარტამენტის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
დ) ხელს აწერს განყოფილებაში მომზადებულ დოკუმენტებს;
ე) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც დეპარტამენტის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
ზ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

9. ოპერაციების განყოფილების ფუნქციებია:

ა) უნივრსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ისტ მხარდაჭერა პირველ საინჟინრო დონეზე, რაც მოიცავს აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის, საკაბელო ინფრასტრუქტურის ისნტალაციას, მონიტორინგს და მხარდაჭერას;

ბ) კლიენტური აპარატული უზრუნველყოფის (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეტბუქტები და პლანშეტები) მხარდაჭერა და წვრილმანი რემონტი, ქსელური და სატელეფონო საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია, რემონტი და მხარდაჭერა, კლიენტური საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა;

გ) უნივერსიტეტის საბეჭდი მოწყობილობების მხარდაჭერა და მათი სახარჯი მასალების მოწოდება/ინსტალაციის უზრუნველყოფა.

10. სისტემების განყოფილების ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის ისტ ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა მეორე და მესამე საინჟინრო დონეებზე, რაც მოიცავს უნივერსიტეტის კრიტიკული ისტ სერვისების ტექნიკური კომპონენტის მხარდაჭერას (აღნიშნული გულისხმობს სერვერული კლასის აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის, ქსელური ინფრასტრუქტურის ბირთვის და დატაცენტრის სხვა კომპონენტების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას);

ბ) კრიტიკული სერვისების, უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) დირექტორიის სერვისებით, დომენური სერვისებით, საფოსტო და კოლაბორაციის სერვისებით, ხმის და ვიდეოს გადაცემის სერვისებით, ვებ- სერვისებით, მონაცემთა ბაზების სერვისებით და სხვა.

11. ანალიტიკური განყოფილების ფუნქციებია:

უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერიო, სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისა და ადმინისრტაციის მიზნებისათვის გამოყენებული საინფორმაციო სისტემების საჭიროების შესწავლა, დაგეგმვა, ფუნქციონალის სპეციფიკაცია, დანერგვა და უკვე არსებული სისტემების მხარდაჭერა/ოპტიმიზაცია (აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტუდენტთა სწავლების მართვის სისტემებით (სპმს), ფინანსური და ადმინისტრაციული მართვის სისტემებით (Oris Manager, ERP), კორპორაციული კონტენტის მართვის/დოკუმენტბრუნვის სისტემებით და ა.შ.).

12. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და ხორციელდება დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.